2019 წლის ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2
სრული შემოსავლის ანგარიშგება 3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 5

შპს „ვესტ ქოლდი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ლარი)

აქტივები	**შენიშვნები**	**31 დეკემბერი 2019**	**31 დეკემბერი 2018**
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	1,432,419	1,461,827
არამატერიალური აქტივები		4,130	4,130
გაცემული სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1,436,549**	**1,465,957**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	405,309	659,000
გადახდილი ავანსები	2	287,776	-
ფული და ფულის ექვივალენტები	3	4,713	2,875
სულ მიმდინარე აქტივები		**697,798**	**661,876**
სულ აქტივები		**2,134,347**	**2,127,832**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,984,211	1,984,211
გაუნაწილებელი მოგება		(1,569,530)	(1,527,295)
სულ კაპიტალი		**414,681**	**456,916**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
ვალდებულება ფინანსური იჯარიდან		-	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**-**
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	4	1,658,737	1,658,737
ვალდებულება ფინანსური იჯარიდან		-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	60,929	12,179
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**1,719,666**	**1,670,916**
სულ ვალდებულებები		**1,719,666**	**1,670,916**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**2,134,347**	**2,217,832**

ხელმომწერი პირები:

ზაზა გაფრინდაშვილი - გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

შენიშვნები-5-16 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019
შემოსავალი	6	**456,144**
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		-
საერთო მოგება/(ზარალი)		**456,144**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	**(498,194)**
სხვა შემოსავალი		-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		**(42,050)**
ფინანსური შემოსავალი		-
ფინასური ხარჯი		-
ზარალი საკურსო სხვაობიდან		-
არასაოპერაციო ხარჯები	8	-
არასაოპერაციო შემოსავლები		-
მოგება დაბეგვრამდე		**(42,050)**
მოგების გადასახადი		-
გადავადებული გადასახადის სარგებელი		-
წლის წმინდა მოგება		**(42,050)**

ხელმომწერი პირები:

ზაზა გაფრინდაშვილი - გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

შპს „ვესტ ქოლდი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
(ლარი) *31 დეკემბერი 2019*

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	**1,984,211**	**(1,527,295)**	**456,916**
მოგება წლის განმავლობაში		**(42,050)**	**(42,050)**
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი	-	-	-
ცვლილება		**185**	**185**
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	**1,984,211**	**(1,569.530)**	**414,681**

ხელმომწერი პირები:

ზაზა გაფრინდაშვილი - გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს "ვესტ ქოლდი" (შემდგომში „კომპანია") დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2007 წლის 20 დეკემბერს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, შპს IG INTERNATIONAL წარმოადგენს კომპანიის 100%-იან წილის მფლობელს. კომპანიის დირექტორია -ზაზა გაფრინდაშვილი, პ/ნ 40001004481.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი არასაცხოვრებელი უძრავი ქონების გაქირავება, საკუთარი ქონების გაქირავება, საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა.
კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ქ. თბილისის სამგორის რაიონში, კაიროს ქ.,#13ა

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდასთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
1 აშშ დოლარი/ ლარი	2. 8677	2. 6766
1 ევრო/ლარი	3. 2095	3. 0701

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შეაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (შემდგომში ''მსს ფასს''), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.
კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს , რომ მას წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება და მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 01 იანვარი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.
სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, საზოგადოება იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) რომლის მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ინტერპრეტაციების მუდმივმა კომიტეტმა (შემდგომში – იმკ) საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის შემადგენლობაში მიიღო იმკ–19 „ანგარიშგების ვალუტა: ფინანსური ანგარიშგების შეფასება და წარდგენა ბასს-21 და ბასს-29–ის შესაბამისად“. წინამდებარე ინტერპრეტაციით განსაზღვრულია, რომ შეფასების ვალუტა უნდა ატარებდეს სასარგებლო ინფორმაციას, რომელიც ასახავს ორგანიზაციასთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს. თუ გარკვეული ვალუტა არსებითად ხშირად გამოიყენება ორგანიზაციის მიერ ან ამ ვალუტას მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მიზანშეწონილია, რომ იგი გამოიყენებოდეს შეფასების ვალუტად.

ყოველდღიურ ოპერაციებში ორგანიზაცია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარიალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით.ყოველ ანგარიშგების დღეს,მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის.თუ მარაგები გაუფასურდა,მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი.გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.

თავდაპირველი აღიარების დროს,ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ , ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადებზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადებია:

შენობა-ნაგებობები	25-50 წელი
მოწყობილობა-დანადგარები	10-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-7 წელი
კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა	5-7 წელი

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.
არამატერიალურ აქტივს ამორტიზაცია არ ერიცხება , მისი განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადიდან გამომდინარე.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე გარემოება იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული

ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითველბა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა; შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით; ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;

გადასახადი

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, და აისახა ანგარიშგებაში საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები გათვალისწინებულია ეკონომიკური საქმიანობის უფლების მქონე ერთეულების მიერ აქტივების და ვალდებულებების შეფასებისას.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონომდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანაგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პეროდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულების მომავალ პერიოდზე.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

6. შეცდომის გასწორება

კომპანიას არ მოუხდენია წინა პერიოდში დაფიქსირებული შეცდომების გასწორება/რეკლასიფიკაცია .

1. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2018	**206,543**	**1,679,742**	**426,136**	**78,810**	**123,579**	**2,514,810**
შემოსვლა		41,580	14,144	1,097	-	56,821
გადაფასება						-
გასვლა	-	-		-	(20,974)	(20,974)
31 დეკემბერი 2019	**206,543**	**1,721,322**	**440,280**	**79,907**	**102,605**	**2,550,657**
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2018	-	**(584,802)**	**(331,145)**	**(63,571)**	**(73,465)**	**(1,052,983)**
პერიოდის ცვეთა	-	(55,927)	(17,360)	(2,303)	(9097)	(83,198)
გასვლა	-	-	-	-	19,432	19,432
31 დეკემბერი 2019	**-**	**(640,729)**	**(348,505)**	**(65,874)**	**(63,130)**	**(1,116,749)**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2018	**206,543**	**1,094,940**	**94,991**	**15,239**	**50,114**	**1,461,827**
31 დეკემბერი 2019	**206,543**	**1,080,593**	**91,775**	**14,033**	**39,475**	**1,432,419**

2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით და უმეტესწილად წარმოქმნილია წინასწარი გადახდებით ბიუჯეტიდან და გაწეული მომსახურების შედეგად. სავაჭრო მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-19	31-დეკ-18
სავაჭრო მოთხოვნები	405,309	6859,000
გადახდილი ავანსები	288,142	-
სხვა მოთხოვნები	-	-
თანხები დაკავშირებული მხარეებისაგან	-	-
გამოკლებული გაუფასურების ანარიცხები	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**693,451**	**659,000**

3. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით.

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-19	31-დეკ-18
თანხა ბანკში	4,151	2,799
თანხა სალაროში	562	76
შეზღუდული ფულადი სახსრები		
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**4,713**	**2,875**

4. მიღებული სესხები

მიღებული სესხები შედგება გადასახდელი საპროცენტო თანხებისგან. საანგარიშო პერიოდის ნაშთი წარმოდგენილია ექვივალენტში-ეროვნულ ვალუტაში.

ორგანიზაცია	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შპს ვესტ ინვესტ	01-04-2008	31-07-13	8.5%	USD	1,629,596	1,629,596
იოსებ ბაბალაშვილი	05-02-2009	17-03-2009		EUR	15,136	15,136
ზაზა გაფრინდაშვილი	17-03-2009	14-03-2011		EUR	14,005	14,005
სულ სესხები					**1,658,737**	**1,658,737**

5. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე

(კრედიტორული დავალიანებები, რომელიც არ არის დაფარული ანგარიშგების თარიღისთვის)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
მიღებული ავანსები	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	60,929	11,777
საგადასახადო და სხვა ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ	-	-
სახელფასო ვალდებულებები	-	402
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	60,929	**12,179**

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;

- გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

6. შემოსავალი

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

შემოსავალი	2019
შემოსავალი	456,144
სხვა შემოსავალი	0
სულ შემოსავალი	456,144

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2019
უიმედო დებიტორების ანარიცხები	-
ხელფასები	136,502
საკომისიო ხარჯები	373
იჯარის ხარჯი	-
მომსახურების ხარჯები	-
კომუნალური ხარჯები	136,331
მივლინების ხარჯები	-
ცვეთის ხარჯი	35,118
დაზღვევის ხარჯი	9,397
კომუნიკაციის ხარჯები	9,757
საწვავის ხარჯი	-
ამორტიზაცია	49,568
სხვა ხარჯები	107,262
სხვა საგადასახადო ხარჯები	13,886
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**498,194**

8. არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯები მოიცავს მხოლოდ ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან მიღებულ ზარალს

სხვა არასაოპერაციო ხარჯები	2019
არასაოპერაციო ხარჯები	-
სულ არასაოპერაციო ხარჯები	**-**

9. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, რომელთათვისაც აღნიშნული კანონი ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან შევა. ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე , რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის დაწესებას გარკვეულ გარიგებებზე, რომლებიც ითვლება მოგების განაწილების გათვალისწინებით, მაგალითად ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასში, არა ბიზნესთან დაკავშირებული ფასები ან საქონლის უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა ბასს 12 საშემოსავლო გადასახადის ფარგლებს მიღმაა და დაიწყება 2017 წლის 1 იანვრიდან საოპერაციო გადასახადების მსგავსად.

10. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებებსა და ცვლილებებს , რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ქონდეს.კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული.საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განახორციელონ დაშესაძლებელია რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული , როგორსაც წარსულში არ ქონია ადგილი.შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება.

11. ბალანსები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა მაშინ, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

2018 და 2019 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების არე	ურთიერთობის სახე	31-დეკ-2019 დაკავშირებული მხარეების ბალანსი	31-დეკ-2018 დაკავშირებული მხარეების ბალანსი
მიღებული სესხები			
შპს " შპს ვესტ ინვესტ“	სხვა დაკავშირებული მხარეები	1,629,596	1,629,596
-	-		
სულ მიღებული სესხები		**1,629,596**	**1,629,596**

2019 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის დაკავშირებული მხარეების შემოსავლის და ხარჯების მუხლები გახლდათ შემდეგი:

(ლარი)	ურთიერთობის სახე	31-დეკ-2019 დაკავშირებული მხარეების ბალანსი	31-დეკ-2018 დაკავშირებული მხარეების ბალანსი
სავაჭრო მოთხოვნები		**0**	**0**
შპს " შპს ვესტ ინვესტ“	სხვა დაკავშირებული მხარეები	345,691	589,667
-	-		
		345,691	**589,667**

12. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება დამფუძნებელისათვის და

სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს „ვესტ ქოლდი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ლარი)

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	1,432,419	1,461,827
არამატერიალური აქტივები		4,130	4,130
გაცემული სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1,436,549**	**1,465,957**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	405,309	659,000
გადახდილი ავანსები	2	287,776	-
ფული და ფულის ექვივალენტები	3	4,713	2,875
სულ მიმდინარე აქტივები		**697,798**	**661,876**
სულ აქტივები		**2,134,347**	**2,127,832**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,984,211	1,984,211
გაუნაწილებელი მოგება		(1,569,530)	(1,527,295)
სულ კაპიტალი		**414,681**	**456,916**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
ვალდებულება ფინანსური იჯარიდან		-	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**-**
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	4	1,658,737	1,658,737
ვალდებულება ფინანსური იჯარიდან		-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	60,929	12,179
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**1,719,666**	**1,670,916**
სულ ვალდებულებები		**1,719,666**	**1,670,916**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**2,134,347**	**2,217,832**

ხელმომწერი პირები:

ზაზა გაფრინდაშვილი - გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

შენიშვნები-5-16 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019
შემოსავალი	6	456,144
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		-
საერთო მოგება/(ზარალი)		456,144
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(498,194)
სხვა შემოსავალი		-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(42,050)
ფინანსური შემოსავალი		-
ფინასური ხარჯი		-
ზარალი საკურსო სხვაობიდან		-
არასაოპერაციო ხარჯები	8	-
არასაოპერაციო შემოსავლები		-
მოგება დაბეგვრამდე		(42,050)
მოგების გადასახადი		-
გადავადებული გადასახადის სარგებელი		-
წლის წმინდა მოგება		(42,050)

ხელმომწერი პირები:

ზაზა გაფრინდაშვილი - გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

შპს „ვესტ ქოლდი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
(ლარი)

31 დეკემბერი 2019

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	1,984,211	(1,527,295)	456,916
მოგება წლის განმავლობაში		(42,050)	(42,050)
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი	-	-	-
ცვლილება		185	185
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	1,984,211	(1,569.530)	414,681

ხელმომწერი პირები:

ზაზა გაფრინდაშვილი - გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო